

**შეთანხმება #1**  
**ხელშეკრულება № 63**  
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**  
**(ელექტრონული ტენდერი NAT20001244)**

ქ. თბილისი

წინამდებარე დამატებით შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) ფორმდება 2020 წლის 14 სექტემბერი შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, სსიპ „დეენილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის დავით გერსამიას სახით და

მეორე მხრივ, შპს „ზუდა“-ს (შემდგომში „მიმწოდებელი“), დირექტორის ნიჟატ გიორგი მინაშვილის სახით,

შემსყიდველი და მიმწოდებელი ცალ-ცალკე ასევე მოხსენებულნი არიან, როგორც „მხარე“ ან ერთობლივად - როგორც „მხარეები“.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა შორის 2020 წლის 11 სექტემბერს N63 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (ელექტრონული ტენდერი NAT20001244) (შემდგომში „ხელშეკრულება“), ვთანხმდებით შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებები:**

1.1. 2020 წლის 11 სექტემბრის N63 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება: ხელშეკრულების მე-4 მუხლში ანგარიშსწორების წესი დაემატოს შემდეგი პუნქტები:

4. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.

5. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები (განახლებული ინფორმაცია საგადასახადო გირავნობისა ან/და ყადაღის თაობაზე), რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

6. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს სსიპ - საქართველოს ეროვნული ბანკის ან სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

7. ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.

8. მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ს.

9. მიმწოდებელი ვალდებულია ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

10. წინასწარ გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება პროპორციულად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების იმ პროცენტის ოდენობით, რა პროცენტული ოდენობითაც გაიცა ავანსი. ეტაპობრივი ანგარიშწორების შემთხვევაში, ანგარიშწორების ბოლო ეტაპზე წინასწარ გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება იმ მოცულობით, რა მოცულობაც საჭიროა ავანსის სრულყოფილად გასაქვითად;

11. ავანსის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ.

## **2. ზოგადი დებულებები:**

2.1. 2020 წლის 11 სექტემბრის N 63 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.

2.2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2020 წლის 11 სექტემბრის N63 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

2.3. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

### 3. მხარეთა რეკვიზიტები:

#### *შემსყიდველი:*

სსიპ“დევენილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი  
პროექტებისა და პროგრამების სააგენტო“  
საიდ. კოდი: 249251134  
მისამართი: ქ.თბილისი,თამარაშვილის ქ. #15ა  
საბანკო რეკვიზიტები; TRESGE22 სახელმწიფო  
ხაზინის ერთიანი ანგარიში  
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 577092820  
საკონტაქტო ელ. ფოსტა: afixsatyeo@gmail.com

**სააგენტოს უფროსის მოადგილე  
დავით გერსამია**

#### *მიმწოდებელი:*

შპს „ზუდა“  
ს/კ 400191243  
მისამართი: თბილისი, გლდანის  
მე-2 მ/რ, კ 26,ზ 62

სს თიბისი ბანკი  
ა.ა. GE84TB7446836080100007

**დირექტორი  
გიორგი მინაშვილი**